



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქმი № 15

„ 31 „ 10

20 წ

დადგენილება № 66

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, მე-2, 49-ე და 50-ე პუნქტების და 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 და მე-3 პუნქტების და 27¹ მუხლის და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსის შედეგად აკადემიურ თანამდებობებზე დამტკიცებულ იქნენ:
 - გიორგი ბარბაქაძე - პროფესორის თანამდებობაზე ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე - საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით;
 - როინ ყავრელიშვილი - პროფესორის თანამდებობაზე განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებით;
 - ამალია შაყულაშვილი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე - ეკონომიკის მიმართულებით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს საჯაროდ, ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტებს, სამსახურებსა და დაინტერესებულ პირებს.

4. საფუძველი: ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის დასკვნები.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2. 

მაკა ბერიძე